

თიბისი ბანკის ახალი „ბონუს ანაბარი“

12 = 13 დაგროვების საუკეთესო ფორმულა

პრესრელიზი

თბილისი, 22 ივნისი, 2009 – დღეს, 13:00 საათზე თიბისი ბანკში ახალი ანაბრის პრეზენტაცია გაიმართა. „ბონუს ანაბარი“ – ასე ეწოდება ანაბარს, რომელსაც თიბისი ბანკი დღეიდან შესთავაზებს მომხმარებელს. ეს არის ძალიან მარტივი და მოქნილი ანაბარი, რომელიც დაგეხმარებათ 1 წლის განმავლობაში დაგროვილ თანხაზე ბანკისგან საჩუქრად მიიღოთ დამატებითი ბონუსი.

კერძოდ, ანაბრის გასახსნელად უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი ოთხი სხვადასხვა ნომინალის კუპონიდან: 20, 30, 50 ან 100 ლარი/დოლარი/ევრო – იმის მიხედვით, თუ რა თანხის დაგროვებას გეგმათ ყოველთვიურად. თქვენ 1 წლის მანძილზე ყოველთვიური შენატანების მეშვეობით აგროვებთ თანხას, ბანკი კი დამატებით საჩუქრად გაძლევთ კუპონზე მითითებულ თანხას.

იმისათვის, რომ არ დაგავიწყდეთ ყოველთვიურად ანგარიშზე თანხის დამატება, ყოველი თვის 25 რიცხვში თქვენ მიიღებთ სმს შეტყობინებას ბანკიდან.

შენატანების გაკეთება შესაძლებელია, როგორც ბანკის ფილიალებში, ასევე დისტანციური სერვისების გამოყენებით (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, ავტომატური გადარიცხვების სერვისი, ტელეფონ ბანკი) და, აგრეთვე, თიბისი ფეის სწრაფი გადახდის ტერმინალებით.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი გიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba3

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი, ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია და ქართველი კერძო პირები.

რატომ უნდა ავირჩიოთ ბონუს ანაბარი?

- ბონუს ანაბარზე დარიცხული ბონუსის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს!
- ეს არის თანხის დაგროვების ყველაზე მარტივი, ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, სახალისო საშუალება!
- რაც უფრო მაღალი ნომინალის არის თქვენ მიერ არჩეული კუპონი, მით უფრო მეტია თანხის დაგროვების სტიმული!
- თუ გსურთ დაზოგოთ იმაზე მეტი, ვიდრე ვარაუდობდით, შეგიძლიათ ანაბარზე დაამატოთ ნებისმიერი თანხა და ამისთვის დამატებითი 10%-იანი წლიური სარგებელი დაგერიცხებათ!
- თვის განმავლობაში მინიმალური შენატანის შეტანა შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობის მცირე თანხებით, იმის მიხედვით, თუ რა ოდენობებია თქვენთვის მოსახერხებელი!

და ბოლოს:

აგროვებთ 12 ერთეულს და იღებთ 13-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უკვე შეგიძლიათ ამოსხნათ დაგროვების ახალი ფორმულა: $12 = 13$ და დარწმუნდეთ, რომ ეს ძალიან ადვილია:

მაგალითად:

12 თვე შეგაქვთ 100 ჯარი ბონუს ანაბარზე
+
ბანკი ძეგაძეძე 100 ჯარს გზუქნით ბონუსის სხვით
<hr/>
სულ მიიღებთ 1300 ჯარს.

დაგატავითი ინფორმაცია ბონუს ანაბრის შესახებ:

- როგორ შეიძლება ბონუს ანაბრის გახსნა?

ანაბრის გახსნისთვის კლიენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის ნომინალის მქონე ბონუს კუპონი და პირადობის მოწმობა.

- სად შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა ნომინალის მქონე ბონუს კუპონი?

თიბისი ბანკის თანამშრომლები პოტენციურ მენაბრეებს მათ სამუშაო ადგილებზე გადასცემენ. კუპონის მიღება ასევე შეიძლება ბანკში.

- ბონუს კუპონის მიღებიდან რა ვადაში შეიძლება მისი გამოყენება?

ანაბრის გახსნა შეიძლება ბონუს კუპონის მიღებიდან 3 თვის ვადაში

- რა ნომინალის მქონე ბონუს კუპონები არსებობს?

არსებობს 4 ნომინალის სასაჩუქრე კუპონი: 20; 30; 50 და 100 ლარში, დოლარსა და ევროში. უფრო დიდი ანაბრის სურვილის შემთხვევაში, კლიენტს აქვს საშუალება დააჯამოს მის ხელთ არსებული კუპონები.

- როდის ხდება ანაბარზე ბონუს კუპონის თანხის დარიცხვა?

ბონუს კუპონის თანხის მიღების პირობის შესრულებისას, აღნიშნული თანხის დარიცხვა ანაბარზე ხდება ვადის ბოლოს, თუმცა კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია მისი წინასწარ გატანა.

- რა შემთხვევაში შეუძლია მენაბრეს ბონუს კუპონის თანხის წინასწარ მიღება?

კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია ბონუს კუპონის თანხის გატანა წინასწარ, ამისათვის აუცილებელია, რომ ანაბარზე იყოს განთავსებული სასაჩუქრე კუპონზე აღნიშნულ თანხაზე 2-ჯერ მეტი

- რა მოხდება, თუ მენაბრეს წინასწარ ჰქონდა აღებული ბონუს კუპონის თანხა და მისი მიღების პირობა დაირღვა?

თუ კლიენტს უკვე ჰქონდა წინასწარ აღებული ბონუს თანხა და ანაბრის პირობა ვერ შერულდა, მაშინ აღნიშნული თანხა ჩამოიწერება ანაბარზე არსებული თანხიდან.

- რა პროცენტი ერიცხება ანაბარს, მის ვადაზე ადრე დარღვევისას?

ანაბრის ვადაზე ადრე დარღვევისას ანაბარს ერიცხება წლიური სარგებელი 3%-ის ოდენობით ანაბრის ფაქტიურ ვადაზე გაანგარიშებით